ბრძანება:**ბ01.012007910**
თარიღი:**19/03/2020**
პინი:**9570**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

„ქალაქ თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა II, N 3-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9; ქალაქი თბილისი, აეროდრომის დასახლება, II ქუჩა N3-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, აეროდრომის დასახლება, მე-2 ქუჩა, მე-2 გასასვლელი, სახლი N20-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დასახლება აეროდრომი, ქუჩა მე-2, გასასვლელი მე-2, სახლი, N20; ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N11-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.001.514; N01.19.36.001.515) მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) კომპლექსის ერთ–ერთი შემადგენელი ფუნქციის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 9 სექტემბრის N:ბ01.01192528 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 და მე-9 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ N01200782-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ქალაქ თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა II, N 3-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9; ქალაქი თბილისი, აეროდრომის დასახლება, II ქუჩა N3-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, აეროდრომის დასახლება, მე-2 ქუჩა, მე-2 გასასვლელი, სახლი N20-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დასახლება აეროდრომი, ქუჩა მე-2, გასასვლელი მე-2, სახლი, N20; ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N11-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.001.514; N01.19.36.001.515) მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) კომპლექსის ერთ–ერთი შემადგენელი ფუნქციის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 9 სექტემბრის N:ბ01.01192528 ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9; ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N11-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.001.522) მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) კომპლექსის ერთ–ერთი შემადგენელი ფუნქციის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების

ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9; ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N11-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.001.522) მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) კომპლექსის ერთ–ერთი შემადგენელი ფუნქციის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს კ-2=4.9;

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის N01200782-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.

4. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი